მოციქული მუჰამედი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი ლოცვის წინ პატარა განბანვას აკეთებდა

'ამრ იბნ 'აამირი გადმოსცემს ანას იბნ მაალიქისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): "მოციქული მუჰამედი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი ლოცვის წინ პატარა განბანვას აკეთებდა". მე ვკითხე: „როგორ იქცეოდით თქვენ?“ მან უპასუხა: „ჩვენთვის საკმარისი იყო ერთხელ გაკეთებული პატარა განბანვა, სანამ არ დაგვერღვეოდა მისი მდგომარეობა".

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი სავალდებულო ლოცვისთვის პატარა განბანვას აკეთებდა, თუნდაც მისი აბდესი არ დარღვეულიყო; ამ ქმედებით ის ჯილდოსა და სიკეთის მოპოვებას ცდილობდა. მუსლიმს შეუძლია აღასრულოს ერთი აბდესით რამოდენიმე სავალდებულო ლოცვა, სანამ მისი აბდესი არ მოშლილა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65080

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee